ცვლილებები ძალაშია 05/08/.2021-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

1. **შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 2² მუხლის 8.1 პუნქტი და ჩამოყაიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8.1. ვიდეო იდენტიფიკაციის საფუძველზე მიმდინარე ანგარიშის გახსნის დროს, კლიენტს გაუაქტიურდება საბაზისო საბანკო პროდუქტები. ამასთან, კლიენტის უშუალო იდენტიფიკაციამდე, კლიენტს ეზღუდება ვიდეო იდენტიფიკაციით გახსნილ ანგარიშზე საბანკო ოპერაციების წარმოება, გარდა ანაბრის გახსნისა და შემდეგი ოპერაციებისა: თანხის ჩარიცხვა, სს პროკრედიტ ბანკში არსებულ საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვა, ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, თანხის გადარიცხვა გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადარიცხვის ოპერაცია დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის №240/04 ბრძანებით განსაზღვრულ მაღალი რისკის იურისდიქციებთან და ოფშორულ ზონებთან , რომლებიც ამავდროულად არ არის ევროკავშირის წევრი თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის №48/04 ბრძანებისა ,, ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე'', საბანკო პლასტიკური ბარათის შეკვეთა/რეგისტრაცია/დაბლოკვა/განბლოკვა და საბარათე ოპერაციები კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით“.